

## განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია მოქმედ კანონში არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კერძოდ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით.

– კანონის მე-3 მუხლის „გ“, „ე“, „ე1“, „ე2“ პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც მომსახურების განმარტებას დაემატა იარაღის რეესტრის წარმოება; დაკონკრეტებული და სრულყოფილი იქნა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იარაღის სახეები; დაზუსტებულ იქნა იარაღის ჩამოწერის განმარტება.

– ამავე მუხლის „ე2“ პუნქტის შემდეგ დაემატა „ე3“ პუნქტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტები.

– ამავე მუხლის „რ“ პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის საფუძველზეც გაიზარდა სააგენტოს მარეგისტრირებელი თანამშრომლის უფლებამოსილება საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურების საკითხში.

– კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და დაემატა „გ1“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც ცალ-ცალკე იქნა გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის და უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მიერ იარაღის მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა.

– ამავე მუხლის პირველი პუნქტს დაემატა „ო4“ და „ო5“ ქვეპუნქტები რომელთა საფუძველზეც სააგენტოს დაემატა ახალი ფუნქციები, კერძოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია და იარაღის რეესტრის წარმოება.

– კანონის მე-6 მუხლს დაემატა „ზ1“ პუნქტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სანომრე ნიშნის „TEST“ ერთი წყვილის გაცემის საფასური.

– ამავე მუხლს დაემატა „ფ“ პუნქტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა იარაღის საიდენტიფიკაციო ნომრის დადამდვის საფასური.

– მე-6 მუხლს დაემატა „ც<sup>1</sup>“ და „ც<sup>2</sup>“ პუნქტები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის საფასური და ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული ქართულენოვანი დოკუმენტის ერთი გვერდის უცხოურ ენაზე თარგმნის საფასური.

– მე-7 მუხლის „ბ“ და „ნ“ პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა ერთ ერთეულ მექანიკურ სატრანსორტო საშუალებაზე ან მის ნომრიან აგრეგატებზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურების ვადა და ამ კანონით გათვალისწინებული მომსახურებების ახალი ვადა.

– მე-7 მუხლს დაემატა „ო“ და „პ“ პუნქტები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა განცხადების შეტანიდან სააგენტოს მიერ დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების ან ლეგალიზაციის ვადა. კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირისაგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე ნივთზე ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ იფორმაციის აღრიცხვის ვადა.

– კანონს დაემატა მე-9<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც განისაზღვრა ფიზიკური პირის მიერ საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემის საფასურები.

– კანონს მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც დაზუსტებულ იქნა იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის გაცემის თაობაზე, იარაღის ცალკეული ეგზემპლარის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვის თაობაზე სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადები.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია კანონში არსებული მომსახურებების სახეობებისა და ვადების შესაბამისობაში მოყვანა იარაღის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. ასევე სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების დახვეწა-გამარტივება და მთელი რიგი მომსახურების სახეობათა დამატება.

#### **ა.გ) კანონპროექტის არსი**

კანონპროექტი არეგულირებს - იარაღის ბრუნვასთან და მასზედ კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. კანონპროექტი ითვალისწინებს ყველა იმ სპეციფიკურ საკითხს, რომელიც გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას;

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტების მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

### **ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას, იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტების მოქმედება.

### **ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):**

## **გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

### **გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

### **გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

## **დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

### **დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ აღნიშნულ დაწესებულებებსა და ექსპერტებს.

### **დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

არ მონაწილეობდნენ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.